ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 142304813**

თარიღი:**17/02/2023**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე ღია და შიდა კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე, 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარებების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

№	**საკონკურსო თანამდებობა**	**რაოდე-ნობა**
1	ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	1
2	მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
3	მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის ეკონომიკური საქმიანობის ნებართვების განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1
3	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების უფროსი	1
5	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1

2. გამოცხადდეს შიდა კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

№	**საკონკურსო თანამდებობა**	**რაოდენობა**
1	მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საინვესტიციო პოლიტიკის და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილების უფროსი	1
2	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი